№ 109 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, მაისის 18 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. ,,საქ. რესპ.'' 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

შრომის სამინისტრო

აცხადებს

სახელმწიფო და საზოგადო საწარმოო დაწესებულებების გამგე მმართველობის, კერძო საწარმოო დაწესებულებების მეპატრონეთა და აგრეთვე შრომის დამქირავებელთა საყურადღებოთ,

რომ სამინისტრომ შემოიღო მუშებთა და დამქირავებელთა შორის ანგარიშის გასასწორებელი ახალი წიგნი, რომლებიც უნდა დაურიგდეს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, ძველი საანგარიშო წიგნის მაგიერ, მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე.

ამ ვადის შემდეგ გაუქმებულია ძველი საანგარიშო წიგნები და ის დამქირავებლები, რომლებიც თავიანთ მუშებს და მოსამსახურეებს არ დაურიგებენ ამ ხნის განმავლობაში ახალ საანგარიშო წიგნებს,—პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი სარეწავი შრომის შესახებ დებულების 212 მუხლის ძალით.

საანგარიშო წიგნი ღირს 10 მანეთი და შეიძლება მიღება შრომის კომისრებთან და შრომის სამინისტროს რწმუნებულებთან ტფილისში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, გორში, ბორჯომში, თელავში, სიღნაღში და გაგრაში. 511 3—1

შრომის სამინისტრო.

სალოღლის საბაჟო

ამით აცხადებს, რომ 29 მაისს

ტფილისის საბაჟოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

კონტრაბანდულ საქონელზე.

სახელდობრ: ფართლეულისა, სამედიცინო, ელექტროსა, გალანტერ და სხვა საქონლისა.
1080 1—1

სახელმწიფო თეატრი

იწვევს მუსიკოსებს სახელმწიფო სამსახურში, თეატრთან არსებულ ორკესტრისათვის.

თითეული ორკესტრანტი მიიღებს გარდა ჯამაგირისა სრულ სურსათის ულუფას. მიღება მოხდება კონკურსით. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ სახელმწიფო თეატრის კონტროლში ყოველდღე 11—2 საათ. და საღამოს 7—9 საათამდე. კონკურსის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ორკესტრი იარსებებს ამა წლის 1 ივნისიდან.
520 1—1

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი.

მთავრობის განკარგულებისათვის 100 მილიონი მანეთი გადადებისა რესპუბლიკის ერობათათვის სესხის მისაცემად.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებისათვის ასი მილიონი (100.000,000) მანეთი რესპუბლიკის ერობათათვის სესხის მისაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხიდან ერობათა სესხი მიეცეს ხარჯთ-აღრიცხვისა და საჭირო მასალის წარმოდგენის შემდეგ თვითეულ შემთხვევაში ცალკე.

3. სესხი მიეცეს ერობათა ერთი (1) წლის ვადით უსარგებლოდ. სესხი უნდა აენაზღაუროს ხაზინას მიწისათვის დაწესებული გადასახადის ერობათა კუთვნილი ნაწილიდან.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 11-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობისათვის 6.000,000 მან. სესხის მიცემისა.

1. მიეცეს ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას სამი წლის ვადით სესხად ექვსი მილიონი (6.000,000) მანეთი მიმდინარე ხარჯის დასაფარავად.

2. სესხი უზრუნველყოფილია ყოველი საქალაქო შემოსავლით და აგრეთვე ქალაქის უძრავი და მოძრავი ქონებით.

3. პირველ მუხლში აღნიშნული სესხის განაღდება ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის მიერ უნდა დაიწყოს 1921 წლის იანვრიდან ნახევარ წლობით ყოველ ივლისის 15-ს და დეკემბრის 15-ს თვითეულ ვადაზე ერთი მილიონი (1.000,000) მანეთისა და სარგებლის გადახდით.

4. სესხის გაცემის დღიდან ქალაქის თვითმმართველობამ ყოველ ექვს (6) თვეში უნდა გადაიხადოს სარგებელი სამნახევარი ($3^1/_2$) პროცენტი დანარჩენი სესხის ნაწილისა.

5. თანხა, რომელიც ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს სესხისა და სარგებლის დასაფარავად, უნდა შეტანილ იქნეს ქალაქის თვითმმართველობის ყოველწლიურ სავალდებულო ხარჯთ-აღრიცხვაში.

6. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის თვითმმართველობის მიერ არ იქნება შეტანილი ხაზინაში დანიშნულ დროზე მე-3 მუხ. მოხსენებული ვადიანი გადასახადი, ქალაქის თვითმმართველობამ უნდა გადაიხადოს ჯარიმის სახედ დანარჩენი თანხის შვიდი (7) პროცენტი წლიურად.

7. ამ დეკრეტით გაცემული სესხი ჩაირიცხოს ფინანსთა სამინისტროს 1919/1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წლის მაისის 11-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

მიწათ-მოქმედების სამინისტროსათვის დამატებით 43,701,848 მან. გაცემისა სამეურნეო-საოპერაციო ხარჯის დასაფარავად.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებისათვის ორმოცდა სამი მილიონი შვიდას ერთი ათას რვაას ორმოცდარვა (43,701,848) მანეთი დამატებით სამეურნეო და საოპერაციო ხარჯის დასაფარად.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ თანხიდან: ა) ოთხი მილიონი ხუთას თექვსმეტი ათას ორას ორმოცდა ათი (4,516,250) მანეთი სახელმწიფო მამულთა და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მიერ 1920 წ. იანვრის 1-ე გაწეული ხარჯის დასაფარავად; ბ) ოცდა ორი მილიონი რვაას ორმოცდა თოთხმეტი ათას ოთხას ოთხმოცი (22,854,480) მანეთი იმავე დაწესებულებათათვის 1920 წლის იანვრის 1-ან ივნისის 1-დე სიძვირის გამო გამოწვეული დამატებითი ხარჯისათვის; გ) ათი მილიონი სამას სამოცდა რვა ათას ექვსას თვრამეტი (10,368,618) მანეთი სხვა და სხვა წარმოების გასაფართოებლად; დ) ხუთი მილიონი ცხრაას სამოცდა ორი ათას ხუთასი (5,962,500) მანეთი შინა მრეწველობის განყოფილების დამატებითი ხარჯისათვის და წარმოების გასაფართოებლად.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. მაისის 11.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოს არსებული სულით ავადმყოფთა თავშესაფარის შტატის დამატებისა.

1. 1920 წლის თებერვლის 24 დეკრეტით დამტკიცებული ტფილისის მიხეილის სახელობის საავათმყოფოსთან არსებული სულით ავადმყოფთა თავშესაფარის შტატს (კან. კრ. 1920 წ. № 4, კან. № 23, დამატებ. № 5) დაემატოს ექვსი ზედამხედველის თანამდებობა 1919 წ. ნოემბრის 1-ან და მიეცეს ჯამამაგირად თვითეულს მათგანს ათას ორასი (1200) მანეთი თვიურად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატის დამატების საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან 1919 წლის ნოემბრის 1-ან 1920 წლის ივნისის 1-დე ამა 1920 წლის თებერვლის 10 დეკრეტით დაწესებული ჯამაგირის მომატებით — სამოცდა შვიდი ათას ექვსას ოთხმოცი (67,680) მან.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. მაისის 11.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

კანონი

უჭკუოსი და ჭკუაზე შეშლილის შემოწმების წესისა.

I. სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების მე-IV წიგნს დაემატოს მე-12 განყოფილებად შემდეგი:

წესი უჭკუოსი და ჭკუაზე შეშლილის შემოწმებისა.

1460-^{62}. უჭკუოსი ან ჭკუაზე შეშლილის შემოწმება ეკუთვნის იმ ოლქის სასამართლოს, სადაც უჭკუო ან ჭკუაზე შეშლილი სცხოვრობს.

1460-^{63}. თხოვნა უჭკუოსი ან შეშლილის შემოწმებისა შეუძლია მისცეს სასამართლოს მის შვილს, ცოლს, მშობელს, მოურნეს, მზრუნველს ან მემკვიდრეს, უკეთუ არ ჰყავანან ან თუ ჰყვანან და ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლე ან ადმინისტრაცია წარუდგენს ოლქის სასამართლოს შემოწმების საჭიროებას.

1460-^{64}. შემოწმება მოხდება სასამართლოს საჯარო სხდომაზე, მაგრამ, უკეთუ სულით ავადმყოფის მიყვანა იმ ადგილას, სადაც ოლქის სასამართლოა, შეუძლებელი ან მეტად ძნელია, სასამართლო მიანდობს ავადმყოფის შემოწმებას მის ბინაზე, ერთ-ერთ თავის წევრს.

1460-^{65}. შემოწმება მოხდება ექიმების მონაწილეობით, არა ნაკლებ სამისა, რომელნიც წარუდგენენ თავის წერილობით დანასკვს სასამართლოს ან სასამართლოს იმ წევრს, რომელსაც მინდობილი აქვს ადგილობრივად შემწეობა.

1460-^{66}. შესამოწმებელის გონების მდგომარეობის გამოსარკვევად სასამართლოს შეუძლია აგრეთვე გამოიყენოს სხვა მასალაც, დაჰკითხოს მოწმეებს და მოსთხოვოს სათანადო დაწესებულებას და თანამდებობის პირს საჭირო ცნობა, თუნდაც დაინტერესებულმა მხარეებმა არ მოითხოვონ.

1460-^{67}. შემოწმებით გამოწვეული ხარჯი უნდა დაიფაროს ავადმყოფის ქონებით, ხოლო თუ ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლის დამოწმებით, შეუძლებელია, ხარჯი დაედება სახელმწიფო ხაზინას.

1460-^{68}. დადგენილების გამოტანამდე სასამართლო, ხოლო თუ საქმე გადავიდა მეორე ინსტანციაში, სასამართლოს პალატა მოისმენს პროკურორის დანასკვს.

1460-^{69}. სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება პალატაში, ხოლო ამ უკანასკნელის სენატში შეუძლია, ჩვეულებრივი წესით, როგორც საქმეში მონაწილეებს ისე პროკურორს.

1460-^{70}- სასამართლოს დადგენილება, რომლითაც შემოწმებული ცნობილ იქნა უჭკუოდ, ან ჭკუაზე შეშლილად, ეცნობება, ძალაში შესვლის შემდეგ, მეურნის დასანიშნავად იმ უბნის მომრიგებელ მოსამართლეს, სადაც უჭკუო ან შეშლილი სცხოვრობს. მაგრამ უკეთუ მეურნეობის დაუყონებლივ დანიშვნა აუცილებელ საჭიროებად მიჩნეულ იქნება ავადმყოფის ან მისი ქონების მოვლისათვის სასამართლოს შეუძლია, დადგენილების ძალაში შესვლამდეც, მისწეროს მომრიგებელ მოსამართლეს მეურნეობის საჩქაროდ დანიშვნა.

2. გაუქმდეს სამოქალ. კან. მე-X ტ. I ნ. მე-368, 372, 373 და 374 მუხლები.

1920 წ. მაისის 11.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

6 მაისის სხდომა.

დაესწრენ: ბ. ბ. ნ. ჟორდანია, გეგეჭკორი, ლომთათიძე, არსენიძე, ხომერიკი, ანდრონიკაშვილი, ცინცაძე, ნ. გედევანიშვილი, ბახტაძე, ჰავჰანიძე, ქარცივაძე, ავალიანი, ბ. ჩიჩინაძე, ნ. ჩიჩინაძე, ალშიბაია, გ. ჟორდანია. მდივანი დ. ლომთაძე, საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე.

საპატიმროთა საქმის საბჭოს დებულების დამტკიცება.

იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულება მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

26 მაისისთვის.

გადაიდოს განათლების სამინისტროს განკარგულებაში 100.000 მანეთი ათ-მილიონიან ფონდიდან საგიმნასტო საზოგადოება „შე-

მობილიზაცია

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 12 მაისის დადგენილებისა გამოცხადებულია საქართველოს ქვეშევრდომ ქვეითა ჯარის ოფიცრების მობილიზაცია. მობილიზაციის პირველ დღეთ არის დანიშნული 17 მაისი, ხოლო გამოცხადების პირველ დღეთ 18 მაისი.

ამიტომ გაწვეული ოფიცრები უნდა გამოცხადდენ ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქ.) 18 მაისს დილის 10 ს.

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

ვარდენისათვის 26 მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხარჯების დასაფარავად.

სახალხო გვარდიის შტატების ცვლილება და დამატება.

კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შტატების ცვლილებისა და დამატებისა მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

თანამდებობაზე დანიშვნა.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორის თ. ა. გ. თ. ჟორდანია დამტკიცდეს აღნიშნულ დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე.

დამშეულ ხოფლებისთვის დახმარება.

მომარაგების სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაადგინა შეღავათიან პირობებში მიაწოდოს სურსათი რესპუბლიკის დამშეულ სოფლებს.

სატრანსპორტო საზოგადოების წესდების ზოგიერთ §§-ბის შეცვლა.

კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მოწონებულ იქნას იმ შესწორებით, რომ 1) გამგე დირექტორს მიეცეს უფლება მოახსენოს საზოგადო კრებას ის საკითხები, რომელშიაც ვერ შეუთანხმდება გამგეობას; 2) მთავრობას უფლება აქვს ერთ-ერთ დანიშნულ დირექტორთაგანს მიანდოს საკანტროლო ფუნქციები.

პრივილეგიების პატენტის დამტკიცება.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტი პრივილეგიების პატენტისა დამტკიცებულ იქნას.

ა. მ. ხოშტარიასა და ამხ. სააქციონერო საზოგადოებისთვის სესხის მიცემა.

ფინანსთა მინისტრის მოხსენება ა. მ. ხოშტარიასა და ამხ. სააქციონერო საზოგადოებისათვის სამი მილიონი მანეთის წლიურიათ პროცენტიანი სესხის სამი თვით მიცემის შესახებ მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

8 მაისი სხდომა.

დაესწრენ: ბ. ბ. გეგეჭკორი, რამიშვილი, ლორთქიფანიძე, არსენიძე, ხომერიკი, ანდრონიკაშვი, ჭავჭანიძე, გედევანიშვილი, ავალიანი, ნ. ჭიჭინაძე, ნ. ცინცაძე, ბ. ჭიჭინაძე, ალშიბაია, გ. ჟორდანია საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე. მდივანი დ. ლომთაძე.

წესდების დამტკიცება.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინიტროს მიერ წარმოდგენილი წესდება ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატისა დამტკიცებულ იქმნას.

ქ. ქუთაისისთვის სესხის მიცემა.

ქ. ქუთაისს მიეცეს ექვსი მილიონი მანეთი სესხი 5% წლიური სარგებლის გადახდევინებით. სესხის დაფარვის პირობებში, ფინანსთა მინისტრი შეუთანხმდეს ქუთაისის ქალაქის მოურავს.

სტიპენდიანტთათვის თანხის გადადება

განათლების მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა საზღვარ-გარეთ სასწავლებლად მორიგ სახელმწიფო სტიპენდიანტებისათვის 11 მილიონი მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

დამატებითი ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება.

სახალხო გვარდიის 1919—20 წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ფინანსთა მინისტრის შესწორებით მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

შენობების გადაცემა.

სოფ. თიანეთში „ცარსკი ბუგორაზე" მდებარე სამხედრო უწყების შენობები გადაეცეს თიანეთის სამაზრო ერობას.

დიდუბის სახელმწიფო მიწებზე საიჯარო წესების შეცვლა

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება მიღებულ იქმნას და 1) სრულიად გაუქმდეს 1912 წლ. 23 იანვრის დებულება, 2) დიდუბის მამული გაიცეს ახალი იჯარის ფასებში (დღევანდელი ნამდვილი ღირებულების 5% კაპიტალიზაციით) 3) დაწესდეს საიჯარო ვადა არა ნაკლებ 24 წლ. დღიდან ხელშეკრულების დადებისა და 4) გაუშენებელი ადგილები მიღებულ იქმნას სახელმწიფოს განკარგულებაში.

უცხოეთში გასატან ნაწლევებზე საექსპორტო გადასახადის დაწესება

ნებადართულ იქმნას ცხვრისა და მსხვილი საქონლის ნაწლევების საზღვარ-გარეთ გატანა შემდეგი პირობით: ექსპორტიორებს გადახდეთ 25% საშუალო ბაზრის ფასისა ე. ი. 300 მან. ფუთზე.

სამხედრო ცნობა

ტფილისი, 17 მაისი.

რეპუბლიკის გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.

ყაზახის მიმართულებით მტრის უძლიერეს ძალთა მოწოლის გამო ჩვენმა ნაწილებმა შიხილისაკენ უკან დაიხიეს. მტრის სამი ესკადრონი და ობოზი, რომელიც აქსტაფის შარა გზით შიხილზე მოდიოდა, ჩვენი არტილერიის ცეცხლით უკუ ვაგდეთ. სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

შინ. საქმეთა სამინისტროში

სამხედრო ცენზურა.

თანხმად გენერალურ შტაბის განყოფილებასთან არსებულ სამხედრო საცენზურო კომისიის თავმჯდომარის ამა წლის 7 მაისის № 5 მიმართვისა, კანცელარია გატყობინებთ ცნობისა და სათანადო განკარგულებისათვის, რომ სამხედრო ცენზურის დებულებით სტამბაში დასაბეჭდი ყოველი მასალა, როგორც პერიოდული გამოცემები ისე ბროშიურები და წიგნები და სხვა ქვემდებარება სამხედრო ცენზურას. ყველა საჯარო სიტყვები ან მოხსენებანი, მათი ტექსტი ან ვრცელი კონსპექტი უნდა წინდაწინვე ნება დართულ იქმნას სამხედრო ცენზურის მიერ.

სამობილიზაციო.

რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობათა და ქალაქების გამგეობებს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი აცნობა: მობილიზაციის ძალით ჯარში გასაწვევ პირთა განთავისუფლების შესახებ, საჭიროა იხელმძღვანელოთ რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, რომელიც გამოცხადებულია ა. წ. 11 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" № 103.

1888 წ. 1889 წ. დაბადებულთა ჯარში გაწვევ.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა 1888 ⁄ 1889 წლებში დაბადებულთა მობილიზაციის პირველი დღეთ დანიშნულია 17 მაისი დილის 10 ს. გაცნობებთ რა ამას „შინაგან საქმეთა მინისტრის მონდობილობით გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები რათა ამ წლებში დაბადებულნი თავის დროზე გამოცხადდნენ სამხედრო აღრიცხვის უფროსის წინაშე.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

განყოფილებების დაყოფა.

სასოფლო-მეურნეობის სახელმწიფო მამულთა განყოფილება განზრახულია ორ დამოუკიდებელ განყოფილებად გაიყოს. დაარსდება წმინდა სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, რომელშიაც შევა 3 სექცია. სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, მცხოვრებთა აგრონომიულ დახმარების და საცდელ საქმის განყოფილებები. მეორე განყოფილებაში იქნება ყველა სახელმწიფო მამულები და საკურორტო კონსულტაცია.

მელვინე-მევენახეთა პროექტი.

ახლო მომავალში განხილული იქნება მევენახეთა და მელვინეობის პროექტი, საგუბერნიო კომიტეტის გაუქმებისა და მათი ფუნქციების ერობათათვის გადაცემის შესახებ.

გუმბრის ამგოზეგის ლიკვიდაცია

სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში ბეკზადიანმა შემდეგი ცნობა მიიღო:

14 მაისს მოხდა სრული ლიკვიდაცია გუმბრში მთავრობის წინააღმდეგ ბოლშევიკურ ამბოხებისა. მეამბოხე ჯავშნიანმა მატარებელმა თეთრი დროშა ამართა და დანებდა მთავრობის ჯარებს, რომლებსაც ჰქონდათ შეტაკება მათთან სადგ. აგინის და გუმბრის შუა. მოკლულია ამბოხების ერთი მეთაუროთაგანი გენ. ხაჩატუროვი, და დანარჩენი: კაპიტ. მუსაელიანი, ავ. ნურიჯანიანი და ექ. არტაშეს მელკონიანი გაიქცნენ ერთი ვერსით ნეიტრალურ ზონისკენ და მეორეთი—ახალქალაქის მაზრისკენ.

მთავრობის ჯარების გუმბრში შესვლას ხალხი აღფროვანებით შეხვდა, ის მიესალმა მათ, როგორც მოძალეებიდან განმათავისუფლებელთ. გუმბრში სრული წესრიგია აღდგენილი. 14 მაისს გაიგზავნა მატარებელი ობლებით და მგზავრებით ერევანში, 15-ში კი მატარებელს გამოუშვებენ ერევნიდან თუ მატარებლების მიმოსვლა არ შეიცვალა.

თავდაცვისათვის

მოწოდება

ერობათა კავშირის კომიტეტმა ყველა სამაზრო ერობებს დაუგზავნა შემდეგი მიმართვა:

რესპუბლიკის ერთგულნი შვილნი მედგრად შეებრძოლენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთ და სახელოვნათ აწარმოებენ თავდაცვის საქმეს. ომი მწვავე ხასიათს ღებულობს, რაც ახალისებს და ამხნევებს ჩვენ დაუღალავ მეომრებს, რომლებიც სასტიკათ ამარცხებენ საქართველოს დაუძინებელ მტრებს. მალე, სულ მალე დადგება ის ნეტარი დრო, როდესაც მოღალატენი და ხელშეკრულობის დამრღვევნიც თავს მოიხრიან საქართველოს ძლევა მოსილ დემოკრატიის წინაშე. ეხლა კი საჭიროა იმათ მხრივ, ვინც სახლში დარჩა, გამოეხმაუროს მეომართა წმინდა და გაბედულ მოქმედებას. ერობათა კავშირი ამზადებს ფრონტისათვის სხვა და სხვა საჩუქრებს, რომელსაც ორ დღეში გაგზავნის დანიშნულებისამებრ.

კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ სამაზრო ერობებიც თავის მხრივ მხურვალეთ შეუდგებიან ამ წმინდა საქმეს და თავის წვლილს მიაწვდიან რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დამცველი.

კომიტეტი ყოველთვის მზათ არის დაუყონებლივ დანიშნულებისამებრ მიაწოდოს ყოველივე, რასაც სამაზრო ერობები გადმოგზავნიან.

ს. კულაში

12 მაისს მრავალ რიცხოვანი მიტინგი მოხდა, რომელსაც დაესწრო საქართველოს დაფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე, რომელმაც გააკეთა დღევანდელ მიმდინარე მომენტზე მოხსენება; კრებამ მოხსენების შემდეგ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: გაეგზავნოს დეპეშა დამფუძ. კრების თავმჯდომარეს, მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, ჯარების მთავარსარდალს და გვვრდიის შტაბს.

რუსეთთან ზავი შედეგია შეურყეველი და მტკიცე პოლიტიკის წარმოებისა ჩვენი მთავრობის და ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ჯარისა და გვარდიის მტერთან ბრძოლისა; მიტინგი აღუთქვამს დამფუძნებელ კრებას და მის მიერ ნდობით აღჭურვილ მთავრობას თავდაცვისათვის ყოველ გვარ დახმარებას დაფიცს სდებს, რომ ის იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თავისუფალ სამშობლოს დასაცავად.

ბ ო რ ჯ ო მ ი.

11 მაისს მოხდა ბორჯომის რაიონის მუშათა საბჭოს კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა მომენტზე ამხ. ვ. ზაქრაძემ. კრებამ მოისმინა რა მოხსენება შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გაითვალისწინა რა მთავრობის მოქმედება როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო პოლიტიკაში მოიწონა და დაადასტურა ყოველივე მის მიერ გადადგმული ნაბიჯები დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

კრება იწონებს მთავრობის პოლიტიკას საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადების და მასთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარების შესახებ, რომელი ზავიც შედეგია საქართველოს დემოკრატიის მტკიცე კავშირისა მის მიერ ნდობით აღჭურვილ მთავრობასთან და რომელიც დემოკრატიამ უნდა გამოიყენოს საკუთარი რესპუბლიკის ინტერესების შესანარჩუნებლად, რისთვისაც დარწმუნებულია, რომ მთავრობა განაგრძობს სათანადო ზომების მიღებას რესპუბლიკის და მის საზღვრების დასაცავად.

კრების მდივანი ბ. ცაბაკაძე

ტობანიერი.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე მიღებულია დეპეშა ტობანიერის და საპაიჭის თემების შეერთებულ მრავალ რიცხოვან მიტინგისგან, რომელიც აღუთქვამს საქართველოს მთავრობის რესპუბლიკის და რევოლიუციონურ მონაპოვარის დაცვის საქმეში დახმარებას და თავგანწირვას.

26-ს მაისის დღესასწაული

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიასთან არსებული 26 მაისის დღესასწაულის მომწყობ კომისიაში შედიან ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. დღესასწაულში მონაწილეობის მიმღებთ (დიდ ორგანიზაციების დაწესებულებებმა) უნდა განაცხადონ სურვილი მაისის 20-დე ხელოვნების კომისიის მდივანთან სასახლეში, რათა დროზე შესდგეს მთლიანი გეგმა. არჩეულია საგანგებო კომისია, რომელიც 26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს სამშობლოს დამცველთ გაუგზავნის ფრონტზე მორთულ მატარებელს მრავალნაირ საჩუქრებით. კომისიას მიღებული აქვს წინადადება სთხოვოს მთავრობას, რომ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რომელიმე ნაწილს ეწოდოს 26 მაისის რაზმი. ყველა ისინი, რომელნიც მოისურვებენ ავტომობილების და სხვა ასეთების მორთვას ემბლემების მიხედვით და დასჭირდებათ მხატვარნი შეუძლიანთ დახმარებისთვის მიჰმართონ ხელოვნების კომისიას.

მუნიციპალური ცხოვრება

ოზურგეთის ქალაქის საბჭოში.

ოზურგეთის ქალაქის საბჭოს სასწრაფო კრება შესდგა 4 მაისს, 1920 წ. საღამოს კ. თოთიბაძის თავმჯდომარეობით.

გამგეობა უდგენს კრებას ორ შემდეგ კითხვებს, რომელსაც საბჭო ღებულობს.

1. რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარისადმი საბჭოს სახელით დეპეშის გაგზავნა.

და 2. მეომარის ოჯახების დამხმარე კომიტეტის შექმნა.

პირველ კითხვაზე საბჭო გამგეობის წევრის ს. ცხომელიძის მოხსენების შემდეგ ადგენს, რომ რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს გაეგზავნოს საბჭოს სახელით შემდეგი შინაარსის დეპეშა; „ოზურგეთის ქალაქის საბჭო სავსებათ იწონებს რესპუბლიკის დასაცავათ მიღებულ ზომებს და აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას.

საბჭოს ღრმათ სწამს თუ რუსულ-თათრული რეაქცია იმდენათ გათავხედდება, რომ გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას, ის საფლავს გაითხრის ჩვენი ჯარის და გვარდიის მიერ აღმართულ- ჯავშნიან კედლებთან".

ასლი დეპეშისა გაეგზავნოს გაზეთ „ერობას".

მეორე კითხვაზე საბჭოს თავმჯდომარე ჰ. თოთიბაძე მოკლეთ მოახსენებს კრებას თუ რა მნიშვნელობა აქვს ფრონტისათვის „ზურგის" სიმაგრეს და ამ „ზურგის" სიმაგრე კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ უზრუნველყოფილია ფრონტზე გაწვეულთა ოჯახები. ამიტომ მომხსენებელი მოითხოვს, რომ ყოველმა მოქალაქემ შეძლებისდაგვარათ დახმარება აღმოუჩინოს სამშობლოს დასაცავათ გაწვეულ მეომართა ოჯახობას.

გამგეობის წევრი ვ. სალუქვაძე ამბობს: ჩვენ არა ერთი და ორი ფრონტი გვქონია და ჩვენი მეომართა ოჯახების დასახმარებლათ ახალი ამბავი არ არის; მაგრამ ყველა მოქალაქენი შესაფერისათ არ იზიარებენ შრომას და უწინ დახმარება იყო ძრიელ მცირე. დღეს კი ასეთი დახმარება საკმარისი არ არის. გარდა იმისა, რომ მეომართა ყანები დაუთესავი არის, მრავალ მათგანს არ გააჩნია არც საკვები და არც სათესლე სიმინდი. საჭიროთ მიმაჩნია შეიქმნას საბჭოსაგან იურიდიული უფლებით აღჭურვილი კომიტეტი, რომელსაც შეძლება ექნება დაბეგროს ყველა ქალაქის ფარგლებში მცხოვრებნი, როგორც შრომით ისე ფულით, რომ შესაძლებელი დარჩეს რეალური დახმარება ომში გაწვეულ ოჯახებზე. ასეთივე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილება მიიღო ერობებმა და ასეთივე დეკრეტი შეტანილია დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლათ.

ხმ. ნ. დოლიძეს საჭიროთ მიაჩნია ასეთი კომიტეტის დაარსება, მაგრამ ის მოითხოვს, რომ ამ კომიტეტის მოქმედება იყოს ავტონომიური და ქონდეს მას დიქტატურული ფუნქციები. მისი აზრით მხოლოთ ამ პრინციპზე აგებულ კომიტეტს შეუძლია ნაყოფიერი მუშაობა.

კამათის დასრულებისას მიღებულ იქმნა შემდეგი დადგენილებანი:

1. ქალაქის საბჭოს მიერ შესდგეს მეომართა ოჯახების დამხმარე კომიტეტი ხუთი კაცისაგან შემდგარი.

2. ის მოქალაქენი, ვინც მეურნეობას ეწევა დაიბეგროს შრომით 1—3 დღემდე, ან შესაფერი ფულის გადახდით.

3. ვინც მეურნეობას არ ეწევა, ე. ი. ვაჭრები, ხელოსნები და მოსამსახურენი და სხვები დაიბეგროს 100.000 მანეთით ერთ-დროულათ.

4. თუ ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს გაგრძელდა საბჭომ ხელ მეორეთ დაბეგროს მოქალაქენი.

5. ტეხნიკურ და სხვა ამ დაბეგვრისაგან გამოწვეულ კითხვებს აგვარებს თვით კომიტეტი.

6. კომიტეტის განკარგულებაშია აღმასრულებელი ძალა და საჭიროების დროს კომიტეტს შეუძლია თავისი გადაწყვეტილება ადმინისტრაციის საშუალებით მოიყვანოს სასრულეში.

აღნიშნულ კომიტეტში ხმის უმრავლესობით არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრი ხ. ი. ცხომელიძე და ხმოსნები ა. კალანდაძე, რ. ჩხაიძე. ერ. კოპლატაძე და ე. ანთელიძე.

ახალი ამბები

✦ ფრონტის დამხმარე მთავარმა კომიტეტმა დაადგინა 29 და 30 მაისს გამართოს „ფრონტის დღე". ამ მიზნით 23 მაისს იწვევს ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელთ. 26 მაისს ფრონტზე გაიგზავნება საგანგებო მატარებელი საჩუქრებით ჯარისკაცთათვის. აგრეთვე პირველი ტრანსპორტი ასი ათასი მანეთის საჩუქრებით. ტრანსპორტს გაჰყვება საჩურების დასარიგებლად დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის წევრი ქრისტინე შარაშიძე. ყველა ლაზარეთებში მიეწყობა სამკითხველოები და წიგნთსაცავები. 23 მაისს დანიშნულია საჩუქრების მიღება ქალ. ტფილისში მოსწავლე ამხანაგებისაგან. საჩუქრები მიიღება სასახლეში დამფუძნებელ კრების კანცელარიაში.

✦ ერობათა კავშირმა ფრონტზე მყოფ ჯარის კაცებს საჩუქრად გაუგზავნა 300 ფუთი თუთუნი და რამდენიმე ათასი ცალი პაპიროსების პაჩკები.

✦ 15 მაისს საღამოს 6 ს. რკინის გზის საავადმყოფოდან გამოასვენეს ფრონტზე დახოცილ ოთხ გვარდიელის გვამ.. პროცესიის დროს უკრავდა გვარდიის მუსიკა. დახოცილი გმირები დაკრძალეს ძმათა სასაფლაოზე. დაკრძალვას დაესწრნენ დამფ. კრების წევრები და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები. სიტყვები წარმოსთქვეს დ. ს. მდივანმა და ბ. ჩხიკვიშვილმა. პროფესიონალურ კავშირების სახელით ალ. ხელაძემ და რაჭა-ლეჩხუმის წარმომადგენელთა ერთმა გლეხმა და სხვებმა.

✦ სომეხთა ჯარის ნაწილებმა აღბალაში კაპიტანი მუსაოლიანცი სხვა ბოლშევიკებთან ერთად შეიპყრეს და დააპატიმრეს.

✦ დამფუძნებელ კრების წევრნი: ფირცხალავა, გომართელი და ჭელიძე ლეჩხუმიდან იტყობინებიან, რომ ხალხი ერთხმად სდგას ფეხზე სამშობლოს დასაცავად.

✦ კვირას 16 მაისს ტფილისში გაიხსნა საერთაშორისო კლუბი. კლუბის საზეიმო განხსნას დაესწრო მრავალი საპატიო სტუმარი.

✦ ქართველ მეაფთიაქეთა კავშირმა ინგლისიდან და საფრანგეთიდან მიიღო აუარებელი მედიკამენტები. მოსალოდნელია ტფილისის აფთიაქებში წამლის ფასის დაწევა.

✦ 18 მაისიდან ტფილისსა და ერევნის შუა მიმოსვლა განახლდა.

✦ განახლდა აგრეთვე პირდაპირი მიმოსვლა ბათუმთან.

✦ „ტფილისის სამაზრო ერობის აგრონომიული განყოფილება იწვევს სამსახურში მანგლისის რაიონში ერთ აგრონომს და ერთ ინსტრუქტორს, მესაქონლეობის სპეციალისტს და მანტიორს".

✦ ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ძალით დამოუკიდებელ პალესტინის სახელმწიფოს შექმნის გამო გუშინ ტფილისის ყველა სინაგოგიაში საზეიმო ღვთის მსახურება გადიხადეს. მთავარ სინაგოგიაში დაესწრო სხვათა შორის ინგლისის მისიის წარმომადგენელი.

✦ ალექსანდროპოლში გარდაიცვალა სომეხთა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჩოლახშიანი.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ადერბეიჯანის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი რუსტამბეკოვი.

✦ მსახიობი იუბა ზარდალიშვილი დაინიშნა ტფილისის მუშათა კლუბების ინსტრუქტორად.

✦ საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მომუშავე საგანმანათლებლო საკულტურო სექციისთვის მეორე ქართულმა კლუბმა გადასდო 15 ათასი მანეთი.

✦ დამფუძნებელ კრების თვითმმართველობის კომისიის სხდომა დანიშნულია მაისის 19-ს, ოთხშაბათს, შუადღის 12 საათისთვის. განსახილველი საგანი: პრეზიდიუმის არჩევა. დასწრება აუცილებელია.

✦ ქართულ წითელ ჯვრის დამაარსებელმა ექიმმა მიხ. ზანდუკელმა თავი დაანება სამსახურს „წითელ ჯვარში".

ანგარიში ოზურგეთის საურბოიერთო ნდობის საზ. 1919 წ.

დებეტი: საწარმომადგენლო გამგეობის წევრს მან. 1600 მან.. ჯამაგირები მოსამსახურეებს 3950 მან., ჯამაგირი დარაჯს 8150 მან., შენობის ქირა, გათბობა და ნანათება 2860 მან. 60 კ., საკანცელარიო, საპუბლიკაციო და სასტამბო ხარჯები 1302 მან., ფოსტა-ტელეგრაფის და საღერბო ხარჯები 139 მან. 60 კაპ., ნალოგები და სამრეწველო მოწმობა 2529 მან. 80 კ., ბანკის საქმეებზედ წასვლა-მოსვლა და მოულოდნელი ხარჯები 5230 მან., სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯები 161 მან. 05 კ., სარგებელი ვადით მობარებულ თანხებზედ 1869 მან. 19 კ., სარგებელი უბრალო მიმდინარე ანგარიშებზედ 6633 მან. 23 კ., სარგებელი საკორესპონდენტო ანგარიშებზედ 7284 მან. 99 კ., სარგებელი და კომისია სპეციალურ მიმდ. ანგარიშზედ 7507 მან. 35 კ., ზარალი კუპონებიან რუსეთის ფულებზედ 30 მან., 1919 წლის წმინდა მოგება 5541 მან. 31 კ. სულ 90389 მან. 12 კ.

კრედიტი: სარგებელი დახურდავებულ თამასუქებიდან 32076 მან. 67 კ., პენია ვადა გასულ დახურდავებულ თამასუქებზედ 14172 მან. 66 კ., სარგებელი სარგებლიან ქალალდების კუპონებიდან 440 მან., სარგებელი საკორესპონდენტო ანგარიშებიდან 758 მან. 26 კ., კომისია დახურდავებულ თამასუქებიდან 32022 მან. 30 კ., კომისია საანგარიშო წელიწადში 24 მან. 75 კ., სარგებელი საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებიდან 1468 მან. 71 კ., ჯარიმა დახურდავებულ თამასუქების ვადა გადაცილებისათვი 1061 მან. 75 კ., მოგება მიმდინარე ანგარიშების წიგნაკების გაყიდვიდან 67 მან. 60 კ., სარგებელი შემთხვევით საქონლის გირაოს ქვეშ 8296 მ. 43 კ. სულ 90389 მ. 12 კ.

ბალანსი 1 იანვრის 1920 წლისათვის.

აქტივი: სალარო 90137 მან. 65 კ., პირობ. მიმდ. ანგ. ოზურგ. საზ-ში 66 მან. 72 კ., უბრალო მიმდ. ანგარ. კერძო საკრედიტო დაწესებ-ებში 13691 მან. 09 კ., სარგებლიანი ქალალდები საზ-ების საწარმოო თანხის 5912 მან. 84 კ., დახურდავებული თამასუქები 420400 მან., ანგარიში საკორესპოდენტო „ლორო" 11382 მან. 36 კ., საზოგადოების მოძრავი ქონება 1522 მან. 80 კ., დასაბრუნებელი ხარჯები 181 მან. 80 კ., სულ მან. 543295 მ. 26 კ.,

პასივი: ძირითადი საწევრო თანხა 53200 მან., სათადარიგო თანხა 2522 მან. 10 კ., საკუთარ შენობის ფონდის თანხა 2585 მან. 99 კ., ვადით მობარებული თანხა წევრებისაგან 4800 მან., არა წევრებისაგან 24522 მან. 70 კ. უბრალო მიმდინარე ანგარიში წევრებისა 139643 მან. 64 კ. არა წევრებისა 113021 მან 23 კ., სპეციალური მიმდინარე ანგარიში კერძო საკრედიტო დაწესებულებებში 2248 მან. 60 კ. ანგარიში საკორესპოდენტო „ლორო" და „ნოსტრო" 97591 მან., მოუკითხავი სარგებელი ვადით მობარებული თანხებზედ 1532 მან. 71 კ., გასულ წევრების გაუტანელი საწევრო თანხა 3900 მან., მოუკითხავი დივიდენდი 4369 მან., 5%-ანი სახელმწიფო გადასახადი 501 მან. 54 კ., გარდამავალი თანხა 85054 მან. 85 კ., სარგებელი, კომისია და სხვა და სხვა მოგება 2260 მან. 59 კ., წმინდა მოგება 1919 წლის 5541 მან. 31 კ. სულ 543295 მან. 26 კ.,

ომში დაჭრილნი და მოკლულნი.

დაჭრილნი:

1) გიორგაძე გერმანე ასალოს ძე.
2) გიორგაძე თედორე ბესარიონის ძე.
3) ლაპარტყავა კალისტრატე ყარამანის ძე (გარდაიცვალა).
4) სიხარულიძე სამსონ ალექსანდრეს ძე. (გარდაიცვალა).
5) მონიავა არტემ სამსონის ძე.
6) გაფრინდაშვილი დათიკო დიმიტრის ძე.
7) გულორდავა კალისტრატე ალექსანდრეს ძე
8) გიგინეიშვილი ლევან ივანეს ძე.
9) გეჯაძე გიორგი იაკობის ძე.
10) ყიფიანი სედრაკ მიხეილის ძე.
11) ბერიძე (აფიცერი).
12) უშაკოვი პეტრე თედორეს ძე.
13) ჯანეზაშვილი ბაღდო გრიგორის ძე.
14) ფცქილიაძე ისიდორე გიორგის ძე.
15) აროხაშვილი ზაქარია იაკობის ძე.
16) ვარსიმაშვილი აბრამ გიორგის ძე.

მოკლულნი:

1) მაჭარიშვილი შალიკო.
2) ჩახუნაშვილი მიხა.
3) ლაბაძე ბარნაბ.
4) გაბეჩავა (საგანგ. ბათალ.)
5) გოგილაძე ვალერიან.
6) ჭაჭიაშვილი პავლე.
7) ჯღარკავა სამსონ.
8) ოღრაშაშვილი ნიკოლოზ.
9) კუპრაშვილი ალექსი.
10) დავითაშვილი გიორგი. (ექ. თან.).
11 თვარაძე სიმონ (სტუდენტი).

ზანგხადებანი

შალვა კავილაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული 1919 წ. იანვრის 3-ს ტფილისის მაზრ. სამხედრო უფროსისგან ჯარში გაწვევიდან განთავისუფლების შესახებ 79 სტ. ლიტ. ა. გაუქმებლათ ჩაითვალოს. 926 3—1

დაკარგულია მეეტლის მოწმობა გრიგოლ ნიკურა ძის სახელზე; ბლიახა № 164. ცხენებზე გადასახადის 1000 მ. შეტანის კვიტანცია; კვიტანცია, მიღებული ტფილისის ქალაქ. თვითმართველობიდან ბლიახის ფული შეტანის შესახებ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 879 3—1

1920 წ. მარტის 30-ს დაკარგული სასურსათო წიგნაკები № 16031 5 სულის და № 2086 6 სულის, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 987 3—3

პასპორტი № 349, მიღებული სომხეთის დიპლომატიურ მისიის საკონსულო განყოფილებიდან 1920 წ. თებერვლის 24-ს ალექსანდრე მიკირტიჩის ძე დილონიანცის სახელზე, გაუქმებულათ ითვლება. 958 3—3

ქ. ტფილისის მეოთხე სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნატალია (ივივე კეკე) ოგანეზის ასულის ნიკოგოსოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ნიკოგოსოვას ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 806 1—1

დაიკარგა საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახჩრებულთა კავშირის წევრობის ბარათი № 118 სოფრომ სიკოს ძე ბარამიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—1

დავკარგე პასპორტი № 120, მოცემული ლეჩხუმის მაზრის უფროსისაგან 1916 წელს, რომელშიც აგრეთვე აღნიშნული იყო ქ. ფოთის ჯარის კაცთა გამწვევ კომისიის მიერ რომ მე თავისუფალი ვარ სამხედრო ბეგარისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 37 მუხ. ლიტ. „ა" ალექსანდრე ასლანიკაშვილი 882 3—1

იასონ ამბაკოს ძე თავდიდიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1. საპენსიო წიგნაკი, მიღებული ტფილისის ქალ. გამგეობიდან 1919 წ. № 27. 2. პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული რკინის გზის სამმართველოდან № 22344. 3. პირადობის მოწმობა, მიღებული ნიგოითის საზოგადოების კომისარისგან. 4. ვინტოვკის ტარების ნებართვა. აღნიშნული საბუთ-ბი გაუქმებულათ ჩაითვალოს; 939 3—3

დაიკარგა პასპორტი № 920 ავეტის მკრტიჩიანცის სახელზე, მიღებული ნიხის სამაზრო უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1076 3—2

დაიკარგა სამი სულის სასურსათო წიგნაკი № 4325 ვარლამ ჩიკვაიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1036 3—3

დაიკარგა მოწმობა სვიმონ ალექსანდრეს-ძე ქარუმიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1056 3—3

დაკარგე ნასყიდობის სიგელი, მოცემული ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან 1920წ., № 2 ნაწილის № 192 ფურცელი 495, 497. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ოქროყანის ქუჩა №5 იოსეფ სოლომონის ძე მოსულიშვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 995 3—2

დაიკარგა საბინაო წიგნი ქალთა მეშვიდე გიმნაზიისა, რომელიც მდებარეობს მესამე სამილიციო უბანში. წიგნი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 982 3—2

სარქის მელიქის ძე ყასაბიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ს. ფაშა-ქენთის ახალბაიაზეთის მაზრ., ერევნის გუბ. სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 961 3—2

დაიკარგა ავლაბრის მე-5 ფერმა № 9. მდებარე ივანე ზაქარიას ძე კანდელაკის სახლის საბინაო დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1032 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველოდან გაცემული მოწმობა 1919 წ. 13/XI გაბრიელ დავითის ძე ლეშკაშელის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1035 3—2

დაიკარგა პასპორტი მიცემული მაისში 1919 წ. ბაქოს მე-2 საპოლიციო უბნიდან ნიკოლოზ სამუელის ძე ანტონოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 993 3—2

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სამხედრო აღრიცხვის სამმართველოს სამნეო ნაწილის გამგისაგან № 278 ალექსანდრე შიოს ძე ალემბარაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 969 3—2

დაიკარგა თელავის ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული პასპორტი № 1680 გრიგოლ არტემის ძე ავეტიკოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1037 3—2

დაიკარგა პასპორტი ეკატერინე დარჩიოვის ასულის სახელზე, მიღებული გორის ქალ. თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1044 3—2

დავკარგე პირადობის მოწმობა № 21158 ვლადიმერ ექვთიმეს ძე მონიავას სახელზე მიღებული საქ. რეს. რკინის გზის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1043 3—3

სამსონ გრიგორის ძე ვალიხოვსკი აცხადებს, რომ მას დაეკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სოხუმის ქალაქის კომისარისგან 11 თებერვ. 1920 წ. № 34. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1046 3—3

დირექციის მიერ დაკარგული ოთხი კლასის მოწმობა № 248, მიღებული ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიიდან 1895 წლ. 31 აგვ., გაუქმებულათ ჩაითვალოს. 930 3—2

დაიკარგა სანაოსნო საზოგადოების „ლოიდ ტრესტინოს" კონოსამენტი № 378 ქ. სტამბოლიდან ქ. ფოთში საქონლის გაგზავნის შესახებ—3 ყუთი ჭურჭლისა მარკა „მ" 304—305—306, ზემოთ აღნიშნულ მარკების გარდა ყუთებზე არის მარკები „ნ. ვ." გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1015 3—2

დაიკარგა ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 45 დავით საფაროვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 972 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი სუკ კარაბეტის ხევში გრიმი'ს შესახვევში № 5 მდებარე ავასი ერიკიანის სახლის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 957 3—3

ალექსანდრე ივანეს ძე ალექსი-მესხიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა სიმტკიცის მოწმობა, აღნიშნული 1901 წლ. ოქტომბრის 6-ს № 2141 მამულზე, რომელიც მდებარეობს ს. ქვიშხეთში, ტფილ. გუბ. მაზრა და რომელიც შეიცავს შენობებს ეზოთი და ბაღით ზომ. დაახლ. 1 დეს. მოწმობა გაუქმებულათ ითვალოს. 977 3—3

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სამმართველოს უფროსი ნოტარიუსის მიერ დეკემბრის 15-ს № 2542 ვასილ დავითის ძე დავითელაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1039 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3479. მართა ესტატეს ასული თარხანიშვილის სახელზე, მიღებული ფინანსთა სამინისტროს საერთო განყოფილებისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 984 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3478 ვერა ივანეს ასული ცეხონოვსკის სახელზე, მიღებული ფინანსთა სამინისტროს სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
985 3—3

დაიკარგა მატრიკული № 1216 მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სერგი ფილიპეს ძე ლეჟავას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 976 3—3

ინჟ. ი. ო. დადანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ვექილობა, მიცემული მისდამი სიმონ ალექსანდრეს ძე აგიაძეზე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სართიჭალის უბანში მდებარე მამული „სასეითოშვილო“-ს მართვა. ვექილობა შედგენილია ტფილისის ნოტარიუს მაჭავარიანთან 20 ოქტ. რესტრი № 8233. 918 3—3

ვექილობა, მიცემული აბელ გრიგოლის ძე ყაზაროვის მიერ ტიგრან ვარლამის ძე ტეროგანეზოვზე და დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან 1919 წ. გიორგობისთვის 12-ს № 6026 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 949 3—3

დაკარგულია პაის წიგნაკი № 425, მიღებული კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოებიდან ალექსი ვასილის ძე ბაევის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
932 3—3

დაიკარგა მოწმობა № 97, მოცემული რაჭის სახალხო გვარდიისაგან: 12 სექტემბრის 1919 წ. „კოზიხოხის წვერზე“ დენიკინის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების შესახებ. 2) ნებართვა რევოლვერი „ნაგანის“ ტარებისა № 27218. გაუქმებულათ ჩაითვალოს. დავით სარდიონის ძე კობახიძე. 892 3—3

დაიკარგა ერასტო ანდრიას ძე დანელიას მიერ მარტვილის გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა, მიღებული ამავე გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3

დაკარგულია უვადო პასპორტი № 175 მიცემული სოხუმის ოლქ. სამმართვ. გუდაუთ. უბნიდან კონსტანტინე კირილეს ძე ბოგანჯიას სახელზე 1917 წ. ივლისის 4-ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 883 3—3

დაკარგულია მოწმობა, მიღებული სარეგისტრაციო საავტომობილო კომისიისაგან 18 ნოემბერს 1919 წ. № 209 ავტომობილისა „ნეპირი“-ს შესახებ № 528. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 933 3—3

ივანე ისაკის ძე მალაციძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან, ნავთის მოთხოვნილებები და პურის ბარათი, მიღებული რკინის გზიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 983 3—3

მარიამ ხაჩატურის ასული ბურტიკოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბინაო დავთარი მისი ქმრის გიორგი წყალობას ძე ბურტიკოვის სახლისა, რომელიც მდებარეობს ორიის ქ., № 14. მპოვნელს თხოვს მიიტანოს ქალ. მილიციის სამმართველოში წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1016 3—3

დაიკარგა პასპორტი ისა ალი ახპაროს სახელზე, მიღებული კინსერის (დაღესტანი) უბნის ბოქაულისაგან 1914 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 968 3—3

დაიკარგა ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის მოწმობა № 1202 ტარასი სიმონიას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
970 3—3

გზა-ტკეცილების სამმართველოს საერთო საკრებულოში, ქ. ტფილისში (სერგიევის ქუჩა, სახ. № 8), 28 მაისს 1920 წ., დღის 12 საათზე, დანიშნულია შეჯიჯრების დაუშვებლათ (безъ переторжки), გადამწყვეტი საჯარო ვაჭრობა ზეპირი და დაბეჭდილი განცხადებით, რომლითაც მიიცემა დამზადება და დადგმა 475,60 კუბ. საჟ. გაუცხრილავი დამტვრეული ქვისა, მის ერთიანათ გასაშლელად მე-28, 32, 34 და 1 ასეულ 33 ვერს. ტფილისი —მანგლისის გზა-ტკეცილზე, საერთო ჯამით 1.283,686 მან. 11 კაპ. სამუშაო უნდა გათავებულ იქნას სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მიეცემა მუშაობის დაწყების განწესი (нарядъ).

მოხსენებულ სამუშაოს პირობები, აგრეთვე ტეხნიკური საბუთები შეიძლება გასინჯულ იქნენ, როგორც სამმართველოში ქ. ტფილისში, ეგრეთვე დისტანციის უყაზარმაში დაბა მანგლისში ყოველ დღე, გარდა უქმისა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
508 1—1

1919 წლის დეკემბრის თვეში

უკვალოდ დაიკარგა

მცხოვრები ლეჩხუმის მაზრის ს. უცხერს რომანოზ ბიჭიას ძე ლეფსვერიძე, ტფილისიდან ქუთაისში წამოსული. ლეჩხუმის მაზრის მილიციის უფროსი სთხოვს ყველა ადმინისტრაციის დაწესებულებას, საავადმყოფოთა ზე დამხედველთ, რომ თუ აღნიშნული პირის ვინაობა იციან, აცნობონ მას. 519 1—1

კახეთის რკინის გზაზე

მატარებლების შემოსვლა 15 მაისიდან 1920 წლისა

ტფილისი—თელავი

მატ. № 4 ტფილისიდან გადის დილის 8. საათზე და 30 წ.

„ № „ თელავში მიდის ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე.

თელავი—ტფილისი

მატ. № 3 თელავიდან გამოდის დილის 8 საათზე.

„ № „ ტფილისში მოდის ნაშუადღევის 4 ს. და 30 წ.

გურჯაანი—წნორის წყალი

მატ. № 6 გურჯაანიდან გადის ნაშუადღევის 3 ს. და 15 წ.

„ № „ წნორის წყალში მიდის ნაშუადღევის 4 ს. და 15 წ.

წნორის-წყალი—გურჯაანი

მატ. № 5 წნორის წყლიდან გამოდის დილის 8 ს. და 20 წ.

„ № „ გურჯაანში მოდის დილის 9 ს. და 20 წ. 498 3—3

მიწათ-მოქმედების სამინისტროს

სახელმწიფო-მამულთა განყოფილება ამით აცხადებს

რომ ამა წლის 29 მაისს შუადღის 2 საათზე განყოფილების ბინაზე (ყოფილი კადეტთა კორპუსი (მინისტრის ნებართვით დანიშნულია ზეპირი საჯარო ვაჭრობა ამა წლის მოსავლისა შემდეგი ეროვნულ მამულების ხეხილის ბაღებისა: მერეთის, სკრის, ქართლის, მანავის, უარაიას, გიაურ-არხის, აჯამეთის, ვარციხის, ნაფარეულის და აგრეთვე ტფილისის ბოტანიკურ ბაღის ყარაიაზის ხუტორისა.

ვაჭრობა დაიწყება შემდეგი თანხებიდან: ა) სკრის მამულში (35 დეს.) 3.000.000 მანეთიდან. ბ) მერეთის მამულში (6 დეს.) 500.000 მან. გ) ქართლის მამულში (20 დეს.) 2.000.000 მან. დ) მანავის მამულში (ნიგვზის ხეები(00.000 მან. ე) უარაიაზის მამულში (3 დეს.) 00.000 მან. ი) გიაურ-არხის მამულში (4 დეს. ვენახი)—400.000 მან. ი) გიაურ არხის მამულში კულარის ხუტორში. (2 დეს. ვენახი და 0 დეს. ხეხილის ბაღი) 00000 მან. გიაურ-არხის მამულის ლეჩანდიროს ხუტორში (5 დეს. ხეხილის ბაღი (300.000 მან. ე) აჯამეთის მამულში (2 დეს) 80,000 მ. ლ) ვარციხის მამულში (3.4 დეს.) 30000 მან. მ(ნაფარეულის მამულში (6 დეს.) 80.000 მ. ნ) ტფილისის ბოტანიკურ ბაღის ყარაიაზის ხუტორში (4 დეს.) 50.000 მან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება 2 მან. ღერბის მარკით და ბეთ 30 პროცენტი იმ ჯამისა, რომლიდანაც ვაჭრობა იწყება. პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 9-დან 2-მდე. 509 1—1

მომარაგების სამინისტროს მიერ

გაცემული ნებართვების სია.

რიცხვი	ნებართვის № №	სერია	ფურცელი	გვარი და სახელი.	საქონელი.
29 მარტ	2263	35	1730	„კომეტას“ თამბ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2264	„	1731	„ „ „	„ „ „ „
„	2265	„	1732	„ „ „	პაპიროსები.
„	2266	„	1733	„ „ „	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	2268	36	1770	კახელ მევენახეთა საზ: „კახეთი“.	ღვინო კასრებით.
„	2269	35	1720	ამერ. მახლ. აღმასრ. დამხმარე კომიტეტს.	ცემენტი კასრებით.
„	2270	36	1759	ამერ. მახლ. აღმასრ. დამხმარე კომეტეტს.	მედიკ,მენტები.
„	2271	35	1734	„ენფიანჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები.
„	2272	36	1755	სომხ. რესპ. სამხედრო უწყ. წარმომადგ.	ქაღალდი და კონვერტები.
„	2273	„	1779	ოსტერლოვი ედუარდ.	ფოტოგრაფ. მოწყობილებები.
„	2274	35	1744	„კავკასიას“ თამბაქოს ფაბრიკა.	დამუშ. თამბაქო.
„	2275	„	1745	„ „ „	„ „
„	2276	„	1746	„ „ „	„ „
„	2277	„	1747	„ „ „	„ „
„	2278	„	1748	„ „ „	„ „
„	2279	„	1749	„ „ „	„ „
„	2280	„	1750	„ „ „	„ „
„	2281	36	1777	ყაუხჩიშვილი იოსე?.	საბარგო შინები.
„	2282	„	1778	„ „	„ „
„	2283	„	1775	სოსინი ივანე.	უბრალო ცარცი.
„	2287	35	1736	საქარ. რესპ. ერობათა კავშირს.	წიფლის ტკეჩი.
„	2288	36	1751	„ „ „ „	„ „
„	2289	„	1752	„ „ „ „	„ „
„	2290	„	1753	„ „ „ „	„ „
„	2291	„	1754	„ „ „ „	„ „
„	2292	„	1780	ბენიაშვილი ისაკ.	ღვინო კასრებით.
„	2294	„	1781	მომ. სამ. რწმუნებ. საყარელიძეს.	შაქრის ფხვნილი.
„	2295	„	1782	„ „ „ „	„ „
„	2298	„	1768	„ „ ხითაროვი მოსე.	ღვინო კასრებით.
30 მარ.	2305	„	1784	„კომეტას“ თამბ. ფაბრიკა.	პაპიროსები.
„	2306	„	1785	„ „ „	„
„	2307	„	1786	საფაროვი ტიგრან.	ღვინო ბოთლებით.
„	2308	„	1787	„ „	„
„	2309	„	1788	„ „	ღვინო კასრებით.
„	2310	32	1558	კარელი ალდო.	მშრალი ხარის წელები.
„	2311	36	1790	კუზმანა ლეონიდე.	სანაღრო მოწყობილება.
„	2312	37	1801	სააქციო საზ. „კოსმოსი“.	ცხვრის ტყავი.
„	2313	36	1793	მირიანი ა.	ხალიჩები და ფარდაგები.
„	2314	37	1805	სიმონოვა თამარ.	საკერავი მანქან. ვეხ. და ვიესკბი.
„	2315	„	1802	საქც. საზ. „კოსმოსის წარმ. გ. ბერიძეს.	ფურცლოვანი თამბაქო.
„	2316	„	1803	სააქც. საზ. „კოსმოსის“ წარმ. გ. ბერიძეს.	„ „
31 მარ.	2319	36	1799	ქიმიურ ქარხანას „ატომს“.	მარილ—მჟავა.
„	2320	„	1800	„ „	„ „
„	2321	„	1774	სომხ. დიპლ. მისიის წარმომადგენ.	„სივოროტკა“.
„	2322	„	1757		წიგნები და ჟურნალები.
„	2323	„	1758	„ „ „ „	სალიტოგ. ქვა სამხატვრო ხელ-
„					საწყ. და დაზგის დასაყრდენ.
„	2324	37	1810	ჩხეიძე ვლადიმერ.	თუნუქი.
„	2325	„	1809		„
„	2326	36	1796	„ენფენჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები.
„	2327	37	1811	აზერ. ბანკის ბათ. განყ. დირექ. ლლონტ.	საბარგო ავტომობილი.
„	2328	10	494	მაჭავარიანი პეტრე.	გლაუბერის მარილი და ცოცხები.
„	2331	36	1797	„ქიზიყის თამ. ფაბრიკა.	პაპირ. და დამუშ. თამბაქო.
„	2332	„	1798		„ „
„	2333	„	1806	საქ. ცენტრ. კოოპ. კავშირს.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2335	37	1816	ჯაფაროვი ჯაფარ.	შაქრის ფხვნილი ტომრებით.
„	2336	36	1715	„კომეტას“ თამ. ფაბრიკა.	პაპირ. და დამუშ. თამბაქო.
„	2337	„	1783	ამხ. ძმ. ზლატოგორსკებს.	ბამბა (ვატტა).
„	2338	36	1794	გულ-ბედაგიანცი ანდრო.	დამუშ. თამ. და საყნოსი თანბაქო.
„	2339	37	1805	ს./ს. „სტუკენ“ს.	ცხვრის ტყავი.
1 აპრ.	2340	„	503	სტარჩაკი ი. ვ.	მელის და კატის ტყავები.
„	2341	„	509	ს./ს. სესიაშვილებს.	არაყის შუშები.
„	2342	„	504	ამერ. დამხ. კომიტ. მახლ. ალბასავ.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2343	„	505	„ „ „ „ „	საქსოვი და ზვების სავარცხლები.
„	2344	„	511	„ „ „ „ „	სხვა და სხვა საქონელი.
„	2345	„	512	რატიანი პლატონ.	ხალიჩები და ფარდაგები.
„	2346	„	506	საქ. რესპ. ერობათა კავშირს.	თივა.
„	2348	„	515	„ენფიანჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2349	„	516	„ „ „	პაიიროსები.
„	2351	„	508	ჯაყელი დერგიშ ბეგ.	ბზე.
„	2352	„	518	საქ. სახ. რკ. გზებ. სასურ კომიტ.	მამაკაცის კოსტიუმები.
„	2353	„	519	„ „ „ „ „	შაშხი.
„	2354	„	510	დალაევი რუბენობეკ.	სანად. თოფის პატრონები ხმალი
					და ხანჯალი.
„	2355	„	501	ოვაკიმიანი ტიგრან.	ხიზილალა, დამუშ. თამბ. და ჩაი-
„	2356	1	1	საქ. რესპ. ქალაქთა კავშირს.	ტკეჩები (კლიპკები).
„	2357	„	2	„ „ „ „	„ „
„	2358	„	3	„ „ „ „	„ „
„	2359	„	4	„ „ „ „	„ „
„	2360	„	5	„ „ „ „	„ „
„	2361	„	6	„ „ „ „	„ „
„	2362	„	7	„ „ „ „	„ „
„	2363	„	8	„ „ „ „	„ „
„	2364	„	9	„ „ „ „	„ „
„	2365	„	10	„ „ „ „	„ „
„	2367	11	502	საქ. ცენტრ. კოოპ. კავშირს.	წიგნები.
„	2371	„	514	„კავკასიას“ თამ. ფაბრიკა.	დამუშავ. თამბაქო.
2 აპრ.	2374	„	522	სტარჩაკი ი. ვ.	მელის და „ბარსუკი“-ს ტყავები.
„	2375	„	513	„საფაროვის“ თამბ. ფაბრიკა.	დამუშ. თამბაქო.
„	2376	„	507	ტფილისის ვაჭრთა ბანკს.	სხვა და სხვა ნივთები.
„	2377	„	517	სააქც. საზ. „ოქროს ვერძი“.	საბარგო შინები.
„	2378	„	523	სომ. ჯარის შტაბსკაპ. სარქისიანცს	ხმალი.
„	2379	„	521	„ენფენჯიანცის თამ. ფაბრიკა.	პაპ. და დამუშ. თამბაქო.
„	2380	„	520	„ „ „	პაპიროსები.
„	2386	„	529	ბესპალოვი რუს. ფაბერტ. კომპ. წარმომ.	კარაქი.
„	2387	1	15	საქ. რესპ. ქალაქთა კავშირს.	ტკეჩები (კლიპკები).
„	2388	„	16	„ „ „ „	„ „
„	2389	„	17	„ „ „ „	„ „
„	2390	„	18	„ „ „ „	„ „

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**